№ 165. ივლისის 31, სამშაბათი. 1866—1884 ივლისის 31, სამშაბათი. № 165.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible];—განცხადება მიიღება ქართულს, [illegible] ზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## გლეხებისაგან მამულების შეძენა ჩვენს საადგილ-მამულო ბანკებში.

თბილისი, ივლისის 31-ს.

ბაჭრულებული განცხადებები ჩვენი საადგილ-მამულო ბანკებისა, რომელნიც წელიწადში ორჯერ ავსებენ ჩვენის ადგილობრივი გაზეთების მეოთხე გვერდებს, მჭევრ-მეტყველურად აღიარებენ იმ ფაქტს, რომ მამულის პატრონებს უჭირდებათ ბანკის ჯეროვანი გარდასახადის მიცემა და ბევრს მათგანს, რომ იტყვიან, სწორედ სული კბილით უჭირავს; თუ წრეულს როგორმე ახერხებენ თავიანთ მამულის დახსნას და ვალით ვალსა სწყვეტენ, მერმის ვალის მომცემსაც ველარავის იშოვიან და დაგირავებული მამული აუცილებლად ან ვაჭრობით უნდა გაიყიდოს, ან ბანკს დარჩეს.

მიზეზი ამ გვარი სამწუხარო მოვლენისა ბევრ-გვარია. დასამალავი არ არის, რომ, თუმცა ინსტრუქციის ძალით, როგორც სოფლის მამულზედ, ისე ქალაქისაზედ სესხი შემოსავლის კვალობაზედ უნდა გაიცეს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შემოსავალი გარდამეტებით არის ნაანგარიშები და მამული, თუმცა ღირებულობითა ღირს, მაგრამ შემოსავალი კი ამის შესაფერი არ შემოაქვს. ეს უფრო ადვილი შესამჩნევია იმერეთში, სადაც ერთი ქცევა მიწა ხშირად 300—400 მანათი ღირს, თუმცა წელიწადში რამდენიმე კოდი სიმინდის მეტს არ იძლევა, რაც სრულიად არ შეადგენს კანონიერ სარგებელს მამულის ღირებული ფასისას. ხანდისხან ბანკებმა მტკიცედ არ იხელმძღვანელეს ინსტრუქციით და გასცეს ფული ღირებულობის კვალობაზედ და არა შემოსავალზედ. ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომელიც აძნელებს მსესხებლების ერთი ნაწილის მდგომარეობას. მართლაც, თუ კი ბანკის გარდასახადი ბევრად მეტი იქნება მამულიდამ აღებულს შემოსავალზედ, პატრონმა უეჭველად სხვა წყარო უნდა მონახოს ბანკისადმი პასუხის გასაცემად: ან თავის ჯამაგირიდამ უნდა მისცეს, ან სხვა მამულიდამ, ან, რაც უფრო ჩვეულებრივია, ვალით ვალი გადიხადოს. მერე ვისა აქვს იმდენი სიმხნე, ენერგია და გამჭრიახობა, რომ $43\frac{1}{2}$ წლის განმავლობაში ასეთი მსხვერპლი მოუტანოს იმ წმინდა და კანონიერ სურვილს, რომ მამაპაპეული მამული ხელიდამ არ გაუშვას. თუ მამა გამოიჩენს ასეთს სიმტკიცეს, შვილი და შვილის-შვილი ვერ მიჰყვება იმის კვალს და ერთხელაც იქნება ხსენებული მამული სხვის ხელში გადავა.

მაშასადამე, როდესაც მამულზედ გაცემული სესხის სარგებელი თითონ მამულს არ შემოაქვს, აუცილებელი ბოლო ამ მამულისა სხვის ხელში გადასვლაა.

მაგრამ ამისთანა შემთხვევას კაცი ძვირად შეხვდება და მამულის შემოსავალი ხან ჰყოფნის ბანკის გარდასახადს, ხან კიდევაც გარდემატება მას. თეორიით მამულის პატრონმა თავის დღეში ამისთანა მამული ხელიდამ არ უნდა გაუშვას, რადგან იგი თავისით პასუხსა სცემს ბანკსაც და პატრონსაც ცოტაოდენს შემოსავალს აძლევს; რამდენიმე წლის უკან კი იგი სრულ საკუთრებად შეიქნება ისევ მამულის პატრონისა, როდესაც ყოველწლიური გარდასახადის შეტანით თავნიც გადაიხდება და სარგებელიც. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ერთი იმ გვარ შემთხვევათაგანია, როდესაც პრაქტიკა არ ამართლებს თეორიას: მამულის პატრონი თუმცა იღებს შემოსავალს მამულიდამ, მაგრამ წვრილ-წვრილად, ნაწილ-ნაწილ; ვიდრე მეორე ნახევარს აიღებდეს და პირველს მიუმატებდეს, ეს პირველი ნახევარი კიდევაც დახარჯულია და ბანკი თავისას კი თხოულობს; და აი, როდესაც მოდის დღე განკითხვისა, მამულის პატრონს აკლდება სულ უბრალო რამ, ასი-ორასი მანათი, რომელსაც, რასაკვირველია, ადვილად სესხულობს; მაგრამ შემდეგი გარდასახადისათვის იგი უარესს მდგომარეობაში ვარდება. იმან არამც თუ უნდა ვადაზედ მოამზადოს ბანკის ჩვეულებრივი გარდასახადი, რომელიც მაჯის ცემასავით თავის დანიშნულ დროს არ გადააცილებს, ისიც უნდა გადაიხადოს, რაც ექვსის თვის წინად სხვისაგან ისესხა გარდასახადის შესავსებად და აი თვით შემოსავლიანის მამულის პატრონსაც უჭირდება თანდათან ამისთანა ტვირთის ზიდვა და ბოლოს თავის მსაზრდოებელს საჩაქუჩოდ უხდის საქმეს.

ამ გვარ მიზეზებს უნდა მივუმატოთ ჩვეულებრივი დაუდევრობა ჩვენის მემამულეებისა, რომელნიც მხოლოდ მაშინ დაფაცურდებიან ხოლმე, როცა ულმობელი ვაჭრობის დღე დადგება და ადვილად წარმოგვიდგება თვალწინ, თუ რა ბოლო მოელით თითქმის

---

«დროების» ფელტონი ივლისის 31.

## თბილისელი ბობჩინსკი და დობჩინსკი

მკითხველი იქნება არ იცნობდეს ამ ორ გმირს გოგოლის უკვდავი კომედიისას: ორნივ ცნობის-მოყვარენი არიან, ორნივ ახალ ამბებს სუნით დაეძებენ და მერე გადასხვაფერებულს და თავიანთ მალაშინ-გაკრულს გადასცემენ «პატივცემულ საზოგადოებას». ბობჩინსკი არ აცლის დობჩინსკის და დობჩინსკი ბობჩინსკის და «პატივცემულს საზოგადოებას» რომ შეეძლოს და ორთავეს ლაპარაკი ერთსა და იმავე დროს მოისმინოს, მხოლოდ მაშინ ჩამოვარდება ამ ორ საინტერესო პირს შუა სასიამოვნო მშვიდობა და ცილებასა და შურს ადგილი არ ექნება...

ჩვენს ქალაქსაც ეღირსა ორი წარმომადგენელი ამ ჩინებული ტიპისა: ერთს დაუბუდნია თბილისურ „პოლიციის უწყებებში“ მეორეს «ახალ მიმოხილვაში». ერთი «გაბარონებულა», მეორეს თავის-თავი «ბოილად» წარმოუდგენია.

აქამდის კიდევ უფრო ორნივ კრძალვით იყვნენ, რადგან თავ-თავიანთ გოროდნიჩი გვერდით ჰყავდათ, მაგრამ რაკი «გოროდნიჩებმა» საზაფხულოდ ქალაქ გარედ გაისეირეს და მათი ადგილი დაიჭირეს ვიღაც ზა-კოვ—ებმა და ზა-მელ—ბმა, ბობჩინსკ-დობჩინსკებს „ცას“ ველარავინ უძახის და ამათაც ალვირი აიწყვიტეს და ყოველ დილით ასიამოვნებენ კანცელიარიის მოსამსახურეებს ვითომ-სხარტულებით. საგნად თავიანთ ლაპარაკისა ამ ორმა უსაქმოესმა გვამმა ყოველ პროვინციალურ საზოგადოებისამ ამოიჩემა უმთავრესად ჩვენი გაზეთი და ჩვენი საზოგადოებაც თან მიაყოლა. ბედი მათი, რომ სხვა-დასხვა ალაგას შეიხიზნენ, თორემ ერთად რომ ყოფილიყვნენ, გაუწეწავნი ველარ გადარჩებოდნენ ერთიერთმანეთს; ეხლა კი სადილო ცხენებსავით გაიჯიბრნენ, აბა ვინ უფრო მეტს ტლინკებს ესვრის ან ქართველ საზოგადოებას, ან ქართულ გაზეთს, ან ყოველგვარ ქართულ დაწესებულებასაო.

— ძარგად არ გავწკიპე ი რაღაც წიწილიკანა «დროებაა» — ამბობს ბობჩინსკი, — თქვენ რას იტყვით პიოტრ ივანიჩ?

— ჩინებულად, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს, ჩინებულად! ზოგი მე მიყურეთ, პიოტრ ივანიჩ მომავალ კვირას რა დავმართო, ეუბნება დობჩინსკი. ეს ოხერი, ამ კვირაც ადგილი აღარ დამითმეს; მეტად ბევრი ამბები მოვიდა სტამბოლიდამ «შინაურ ქრონიკისათვის».

— არა, როგორა ვთქვი, სიმონსონოვის ქუჩაში შემძვრალან-მეთქი და იქიდამ უნდათ ქვეყანა მართონ-მეთქი. ხა, ხა, ხა! ძარგად არ მომივიდა?

— მე, იცით რას ვაპირებ, პიოტრ ივანიჩ; იმათ ხმოსანს ზუბალოვს უსაყვედურეს შენ თვით-მმართველობას უარ-ჰყოფ და ასე ამბობ რომ პოლიციამ უნდა მოარჯულოს ქალაქის თვით-მმართველნიო. მე მინდა პირში წავუდგე და ასე ვუთხრა, აბა როდის იყო ეს ამბავი, როდისა-მეთქი. თქვენ სტყუით, უსინიდისოდ ცილსა გვწამებთ-მეთქი. ძარგად არ მომივა, პიოტრ ივანიჩ?

— მერე რომ ის ნომერი გამოძებნონ და „პოლიციის უწყებებითვე“ დაგიმტკიცონ, რომ მართალს ამბობდენ, მაშინ რაღა ექნათ, პიოტრ ივანიჩ?

— ერთი კაი თვისება სჭირს გაზეთს, პიოტრ ივანიჩ; საზოგადოებას ის ახსოვს, რასაც დღეს კითხულობს, ერთი კვირის ამბავი ვიღას მოაგონდება.

— მართალს ბძანებთ, პიოტრ ივანიჩ, ჭკვიანი კაცი ბძანებულხართ. ჰო ის მინდოდა მეთქვა, მინდა არწრუნისეულ ქარვასლის გამო გავჯორო და დავუმტკიცო ბანკირებსაც და რედაქციასაც, რომ იმათ „სლაჟენიე და ვიჩიტანიე“ არ იციან.

— ძალიან კარგს ინებებთ, პიოტრ ივანიჩ, მაგრამ აბა როგორ მოახერხებთ?

— ასე ვიტყვი, მე ნამდვილად ვიცი, რომ 32000 მანათის მეტი არ შემოდის, ნამდვილად ვიცი-მეთქი; წელიწადში დეფიციტი 15000 და 20000 მანათამდე ავა და ისინი კი 10000 მანათს იძახიან მეთქი.

— მერე იმათ რომ დოკუმენტები ხელში აქვთ და აბიდა გაჰქამონ, მაშინ რას ინებებთ, პიოტრ ივანიჩ?

— მაშინ რაღა დამიშლის, ვერ ვიტყვი, სტყუიან, უსინიდისონი არიან, მე უფრო კარგად ვიცი ყველაფერი-მეთქი.

— ბარაქალა თქვენს მოხერხებას, პიოტრ ივანიჩ! ჭკვიანი კაცი ბძანებულხართ. აქამდის ასეთი გამოცდილების პატრონი არ მეგონეთ, ამას იქით მიგულეთ საუკუნოდ თქვენის ნიჭის პატივის-მცემლად.

ეს ბობჩინსკ-დობჩინსკები ერთს რასმეში არა ჰგვანან გოგოლის ბობჩინსკ-დობჩინსკის. ისინი ყველაფერს აზვიადებდენ და ჰორიკანობდენ თითონ ახალ-ახალი ამბების სიყვარულით; მამონის პატივისცემა იმათს გულში თავის დღეში არ ჩასულა. იმათ უნდოდათ მხოლოდ რომ ქვეყანას შეეტყო, რომ ამა-და-ამ ქალაქში, ამა-და-ამ ქუჩაზედ სცხოვრობს პიოტრ ივანიჩ ბობჩინსკი, ან პიოტრ ივანიჩ დობჩინსკი; ეს ახალი ბობჩინსკ-დობჩინსკი კი ბობჩინსკ-დობჩინსკობენ იმიტომ... იმიტომ, რომ თითო სტრიქონი 3 კაპეიკი ღირს.

რა ჰქნან, — მეცხრამეტე საუკუნეა.

მომეტებულს ნაწილს მამულის-პატრონებისას. მათგანნი მხოლოდ იმისთანანი შეინარჩუნებენ ბოლომდის მამულს, რომელნიც ყოველს კაპეიკს ანგარიშით დახარჯვენ და ყოველთვის თვალწინ ექნებათ წარმოდგენილი აუცილებელი დღე ბანკის ვალის გარდახდისა და ამასთანავე რომელთა მამულიც თავის შემოსავლით შეიძლებს არა თუ ამ ვალის გარდასახადის გაღებას, თავის პატრონსაც დაუტოვებს რასმე საცხოვრებლად.

კიდევ უნდა განვიმეოროთ, რომ, სამწუხაროდ, ამისთანა მამულის პატრონთა რიცხვი განსაზღვრულია და თუ არ მომეტებული ნაწილისა, დიდი უმცირესობის მამულები მაინც, ადრე თუ გვიან სხვის ხელში გადავლენ. ვინ უნდა იყოს ეს «სხვა» და ვისთვის უფრო უპრიანია და შესაძლებელი სოფლის მამულების შეძენა, — ვგონებთ — მკითხველი მიხვდა და კიდეც დაგვეთანხმება როცა ჩვენ ჩვენს საბუთებს წარვუდგენთ შემდეგს წერილში.

## შინაური ქრონიკა.

— ჩვენს ტურფა დედა-ქალაქში ბევრი ტურფა და სასიამოვნო ამბავი ხდება ხოლმე. მკითხველს მოეხსენება, რომ ბევრგან მთელი დასი და ამხანაგობანი არიან შედგენილნი, რომელთაც საგნად ისა აქვთ, რომ შეერთებულის ძალითა და მოხერხებით ჰყვლიფონ და სცარცვონ ხალხი. ეს დასი და ამხანაგობანი ნამდვილ ავაზაკთაგან, თოკიდან თავდახსნილთა და ციხიდამ განთავისუფლებულთაგან შესდგებიან.

მათნი წევრნი მომეტებულ ნაწილად ესრედ-წოდებულნი თავისუფალნი მოქალაქენი ბძანდებიან ბედნიერის ტფილისისა. მათ სახელად უფრო კინტოები ჰქვიანთ. ერთი ამგვარი დასი მძვინვარებს თურმე ჰასუმოვის სავაჭრო სახლის ქვეშ ტრაქტირში, რომელსაც აუარებელი ვაჭრობა აქვს და რომელშიაც დღე ცხადად და ღამე ფარულად იკრიბებიან თავისუფალ წრეთა და დასთა წევრნი. ერთს ამ უკანასკნელთაგანს ჰქვიან „არდაგანი“ სახელად და პოლიცია კარგად იცნობს ამ კინტოსაო, ამბობს «კავკაზი», მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია, თუ ავაზაკს პოლიცია კარგად იცნობს, რაღას შესჩერებია...

ეს არდაგანი სხვა ამხანაგებთან ერთად ამას წინად შადინოვის სახლებში ბალკონიდგან ასულან. შადინოვის სახლები ხაზინის გვერდზეა. ერთ წევრთაგანს პოლიციელი სხვა მხრისკენ წაეყვანა, ერთი ყარაულად ყოფილიყო და დანარჩენები კი სახლში შესულიყვნენ. მაგრამ, როცა ხელაობა დაეწყოთ, ყვირილი შეექნათ სახლში, კინტოები გამოცვივნულიყვნენ და პირდაპირ ალექსანდროვის ბაღში გადავარდნილიყვნენ. პოლიციელები გარ-შემორტყმიან და დაუჭერიათ «არდაგანი».

მეორე დასი ხელაობს სხვა-და-სხვა ალაგას და სხვა და სხვა დროს. მისი ხელაობა სწორედ მთელი თეატრალური წარმოდგენაა. მოქმედება პირველი წარმოადგენს მტკვრის პირს, რომელზედაც აწყვია ტანისამოსი ერთის მცხოვრებელისა. ამ უკანასკნელს ქამარ-ხანჯალი, ჩოხა-ახალუხი და სხვ. დაუწყვია ნაპირთა ზედა მდინარისათა და თვით გასაგრილებლად შიგ შესულა. ამ დროს, როგორც ძველ პიესებში იცოდენ, Deus ex machina-სავით, გაჩენილან კინტოები და ზოგს ვერცხლის ქამარი მოუტაცნია, ზოგს ხანჯალი და ზოგს საათი ტანსაცმელთან ერთად და სრულიად სხვა-და-სხვა გზით გაქცეულან. საწყალს პატრონს გონება დაჰკარგვია, ველარ მოუფიქრებია, რომელს ერთს უნდა გამოეკიდოს და დედიშობილას დაუწყვია ღრიალი, ხალხი მოგროვილა და დაუმშვიდებიათ კინტოების ხელაობის მსხვერპლი. ამით დასრულებულა პირველი მოქმედება. მეორე მოქმედება წარმოადგენს სახლს საწყალი მსხვერპლისას, რომელიც თავის დანაკარგს გლოვობს და ამ დროს ორი კინტო ფაფახებით მოვლენ მასთან მთხრობელად და ეუბნებიან, ჩვენ ვიცით, სად არის ან ვისა აქვს შენი ნივთები და ტანთსაცმელიო, 25 მან. მოგვეც და მოგიტანთო.— რაღა ვისა აქვს, თვით თქვენ იყავითო,—უთქვამს უბედურს ტირილითა და ქუხილით. გმირებს სწყენიათ ესეთი შეურაცხ-ყოფა და მოუთხოვნიათ, რომ აქა და აქ ესა და ეს კაცი გამოგზავნეო და იმას გამოვატანთო, თუ ფულს მოიტანსო. ამით გათავებულა მეორე მოქმედება. საწყალს დაზარალებულს კაცს გაუგზავნია კაცი დანიშნულს ალაგას [illegible]. მისულა გაგზავნილი ერთს მიყრუებულს ალაგას, იქ შეუყვანიათ უბედური ბნელ სარდაფში, რომელიც თურმე სავსე იყო კინტოებით და რომელშიაც ჯგუფ-ჯგუფად ისხდენ ჩვენი ბედის მმართველნი. შუა-კაცს კინაღამ გული შესწუხებია, როცა აქედ-იქიდამ შემორტყმიან სულთამხუთავნი. — მოგვეც სუყველაფერი, რაცა გაქვს, შეჰღრიალეს საცოდავს, რომელსაც შიშით ენა მუცელში ჩაუვარდა თურმე. შემდეგ, როგორც იყო, კანკალით ამოიღო ექვსი მანათი და უთხრა: აი ამის მეტი არა მაქვს, ქეიფი გასწიეთო და ცოცხალ-მკვდარი გამოსულა გარედ. ამით დასრულდა მესამე, ტრაგიზმით სავსე, მოქმედება და უცბად ჩამოეშვა ფარდა, რომელმაც დაჰფარა ბნელი და შავი კულისები საეჭვო აკტიორებისა და მოთამაშეებისა.

— ბათუმში გაუგზავნიათ სამედიცინო მმართველობის განკარგულებით ექიმები, რომელთ მოვალეობა იქნება კარანტინის დამცველებად იყვნენ და კარანტინის გამოვლილთ მიიღებდენ, ხოლო წამსვლელთ გაისტუმრებდენ წესისამებრ.

— აბასთუმნიდამ სწერენ გაზ. „ახალს მიმოხილვას“, რომ იქ ამ სამი დღის წინად ლეიბ-მედიკი რემერტი ჩასულა აუზში, დასცდენია ფეხი და შიგ ჩავარდნილა. ამ დაცემის დროს

---

## ფილოქსერა

### ვაზის ახალი მტერი

(დასასრული*)

2) ფრთიანი ფილოქსერის გადაფრენით.

ზემოდ, სხვათა შორის, ჩვენ გავიცანით ამ ჭიის ერთი ფორმათაგანი, სახელდობრ, ფრთიანი ფილოქსერა, რომელიც გადაფრენით ავრცელებს ავადმყოფობას ახლო მდებარე ვაზებსა და ზვრებზე.

ფრთიანს ფილოქსერას, თავისი აგებულების სისუსტისა გამო, არ შეუძლია დიდს მანძილზე გადაფრენა, მაგრამ იგი გადააქვს ქარს შორეულს ზვრებზე, სადაც მასუკან იგი მრავლდება. რაც უფრო ქარი და ნამი ხშირი იცის, მით უფრო მალე, შორს და ბლომად გადადის ფილოქსერა ერთის ადგილიდამ მეორეზე. ამიტომაც, თუკი ფილოქსერა აღმოჩნდა რომელსამე ქვეყანაში, თუ გინდ იმ ქვეყნის ერთს ზვარშიაც, მაშინ საშიშია, რომ აოხრდება არათუ მახლობელი ზვრები, არამედ შორეულნიც, რომელთაც კი ფილოქსერისაგან დაზიანებულის მხრის ქარი ხვდებათ.

3) კაცისაგან ჭიის გადატანით.

ფილოქსერის გავრცელების ისტორია გვაჩვენებს, რომ ზემოდ აღწერილი ორი მიზეზით ფილოქსერა ვრცელდება მხოლოდ იმ არემარეში, რომელიც მაინც-და-მაინც შორს არ არის თავდაპირველად დასნეულებულის ადგილიდან, და რომ შორეულს ადგილებში კი ფილოქსერა კაცისაგან იქმნა გადატანილი. ვაზებისა და სხვა მცენარეების შემოტანა ფილოქსერისაგან დაზიანებულის ადგილებიდამ არის მთავარი მიზეზი ამ ავადმყოფობის გაჩენისა: მაგალითად, უკვე ვიცით, რომ კაცმა შემოიტანა ეს ავადმყოფობა საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრო-ვენგრიაში, იტალიაში; კაცმანვე შემოიტანა იგი ყირიმში, კავკასიაში—სოხუმს და ყუბანში.

### VI

### საიდან შეიტანეს ფილოქსერა ევროპაში.

ჯერ კიდევ 1854 წელიწადში აღმოაჩინა ეს ჭია ერთმა მეცნიერმა ჩრდილოეთ ამერიკაში. აქ ყურადღება არ მიაქციეს ამ აღმოჩენას, რადგანაც განსაკუთრებულს ზარალს ამ ჭიისაგან არა გრძნობდენ. ამერიკულ ვაზთა ფესვების რამდენიმე განსაკუთრებულის თვისებისაგამო ფილოქსერა სცხოვრობს უპირატესად მათი ფოთლების დაკოჟიჟებულ ადგილზე, რის გამოც ეს ვაზები ევროპიულებზე ნაკლებ ზიანდებიან ფილოქსერისაგან; ამასთანავე, ამერიკაში წინად და ახლაც მევენახობას ნაკლებად მისდევენ. რაკი ფილოქსერა გადატანილ იქმნა ევროპიულ სათუთს ვაზებზე, მან გამოიცვალა თავისი ყოფა-ცხოვრების წესი, ე. ი. დაიწყო ვაზების ფესვებზე და ფოთლებზე ცხოვრება და საზრდოობა. აი, საკუთრად ეს შეადგენს ამ ჭიის დამღუპველს გავლენას ევროპიულს ვენახებზე.

### VII.

### როგორ შევიტყოთ,—თარის თუ არა ფილოქსერა ზვრებში?

ფილოქსერა ამაოხრებელად მოქმედებს ვაზზე, მაგრამ ამ უკანასკნელს არ შეეტყობა განსაკუთრებული, გარეგანი ნიშნები დამღუპველის ჭიის მასზე არსებობისა. ის ავადმყოფობა, რომლითაც ფილოქსერა ასნეულებს ვაზს შეიძლება ჭლექს შევადაროთ: ვაზები ნელ-ნელა ილევიან, ბოლოს ფესვები უფუჭდებათ და ხმებიან. მაგრამ, რადგანაც ვაზების გარეგანი ნაწილების ავადმყოფური შეხედულება შედეგი არის სხვა-და-სხვა მიზეზებისა, შეიძლება რომ იგი (ავადმყოფური შეხედულება) მხოლოდ დავაბრალოთ ფილოქსერას, თუ სხვა მიზეზი ვაზის დასნეულებისა ვერ მოვნახეთ. იმის დასარწმუნებლად, ნამდვილად არის, თუ არა ფილოქსერა ვაზზე, საჭიროა გულმოდგინედ გასინჯვა ვაზების ფესვებისა: არის თუ არა ნორჩს ფესვებზე ყვითლად, ანუ რუხვის-ფრად დამსხვილებული, დამპალი ყლორტები, ხომ არ ლპება დანარჩენ ფესვებზე კანი მეჭეჭების მსგავსად. დამსხვილება, დალპობა ფესვებისა სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამოც წარმოსდგება, ამიტომაც აუცილებლად საჭიროა გულმოდგინედ გასინჯვა ამოთხრილი ფესვებისა, რომ აღმოვაჩინოთ მათზე ფილოქსერა. დასნეულებულს ფესვებზე ჩვენ ვნახავთ უბრალო განმადიდებელის ჭიქის ან ლუპის საშუალებით ჭიებს, რომელთაგან ერთნი ქოროფანი არიან, საკმაო სისწრაფით დაფორთხვენ, მეორენი მოზრდილები, უძრავად კვერცხებით გარემოცულნი არიან; ნორჩი ფესვების ყვითლად დამსხვილებულ ადგილებზე მუდამ სხედან ფილოქსერები; ძველ ფესვებზედაც ხან-და-ხან შეიძლება აღმოჩენილ იქმნას მრავალი ფილოქსერა ვაზის გაშეშებული ქერქის მომპალი კანის ქვეშ. ფილოქსერის ხროვებს ძლიერი მხედველობის პატრონი უბრალო თვალითაც შენიშნავს, როგორც ყვითელს ანუ მოყვითანო—რუხვის ფერ წინწკლებს; კარგის მხედველობის პატრონი უბრალო, შეუიარაღებელი თვალითაც გაარჩევს ამ წინწკლებში—ცალკე ჭიებს; აღმოჩენილი ჭია უნდა გავარჩიოთ გულმოდგინე გამოკვლევით სუსტი მიკროსკოპის საშუალებით მაინც; თუ არა, უმიკროსკოპოდ შეიძლება ფილოქსერა და სხვა ჭია ერთმანეთში ვერ გავარჩიოთ.

ფილოქსერის აღმოსაჩენად აუცილებლად საჭიროა, რომ საეჭვო ვენახებში დავათვალიეროთ რაც შეიძ-

*) იხილე „დროება“ № 163.

სამი ნეკნი გაუტეხნია რემერტს და აუზში ნახევარ საათი უგრძნობლად ყოფილა, ვიდრე ბოლოს შემთხვევით შესულ მოსამსახურეს არ შეუმჩნევია ეს უბედური ამბავი. რემერტი სახლში წამოუყვანიათ და მისი მდგომარეობა საშიშ მდგომარეობად მიაჩნიათ ექიმებსა.

## «დროების» კორესპონდენცია.

თელავი, ივლისის 1-ს. თელავის სასულიერო სასწავლებელში შესდგა სამღვდელოების კრება. ეს კრება იყო მოწვეული სხვა-და-სხვა საგნების გასარჩევად და განსახილველად.

თელავის ოლქის სამღვდელოება ამ ბოლოს ხანში თავ-დაუზოგველად ცდილობს თავისი შვილების სწავლა-განათლებაზე და არ ზოგავს საშუალებას თავის შვილების კეთილ-დღეობისათვის. ამ ზრუნვას მღვდლების მხრივ ჯერ-ჯერობით გვიხატავს ახალი შენობა, რომელიც მათ 1400 თუმნამდის უჯდება (ამ ოლქში 146 მღვდელია). ჯერ-ჯერობით ესეც კარგია.

არ შეიძლება მოეთხოვოს მღვდლებს ერთბაშად დაკმაყოფილება ყველა საჭიროებათა, რადგან თვით სამღვდელოების მომეტებული ნაწილი გაჭირებაშია სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო.

შეკრებისათანავე სამღვდელოებამ ერთ-ხმად აღმოირჩია თავ-მჯდომარედ მ. ნ. ვარდიევი, რომელმაც განმარტა, რა მნიშვნელობა აქვს ოლქის კრებას, რა ძალა და, განსაკუთრებით, როგორი სანდო სამმართველოს წევრნი უნდა ამოირჩიონ თვის შორის, რადგან წინანდელ წევრთა საქმეებმა დაანახვა მათ რა საზარალოა სასწავლებლისათვის, როდესაც ამ უკანასკნელის ბედს განაგებენ უვარგისნი პირნი. თავმჯდომარემ თავის მხრით მიუთითა ორ პატიოსან მღვდელზე მ. ი. შ—ზე და ი. ბ—ზე. პირველად კრება შეუდგა სამმართველოს წევრთა არჩევანს. აღმოარჩიეს მმ. შ—ვი და რ—ძე, მაგრამ მეორე დღეს გახდენ წინააღმდეგნი მ. შ—ს არჩევაზე, რომლის მაგივრად აღმოირჩიეს მ. ვ. ს—ვი. მ. შ—ს წინააღმდეგ მიდიოდა მ. რ—ძე და ცდილობდა მის დამცირებას. ჩვენ არ ვიცით, რად მოიქცა ასე მ. რ—ძე, მაგრამ ამას კი მოვაგონებთ, რომ საზოგადო საქმეში კერძო ინტერესები უნდა ყველა პატიოსანმა კაცმა დაუმორჩილოს საზოგადო ინტერესებს. მართლაც და ვის უფრო შეუძლიან შინაური საქმის შეტყობა: შინაურსა, თუ სტუმარს, ან სხვა სოფლიდგან მოსულსა? ვის შეუძლიან წესიერად ადევნოს თვალ-ყური სასწავლებლის საქმეებს: თელავში მცხოვრებს მღვდლებს, თუ ახმეტისას და აკურისას? (თელავიდგან ახმეტამდის 25 ვერსია, აკურამდის 16 ვერსია). შეუძლიანთ განა სხარტული ამ სიშორიდამ სამმართველოს წევრებსა, მერე შეგირდების ეგზამენების დროს? ამ გვარი საქციელი რ—სა წინააღმდეგია სასწავლებლის წესდებისა, რომელიც უპირატესობას აძლევს იმ მღვდლებს, წევრობის ამორჩევის დროს, რომელნიც სცხოვრობენ ქალაქებში, ან მის ახლო მდებარე სოფლებში.

წევრნი არიან სასწავლებელში იმისთანა შუამავალნი პირნი მღვდლებისა და სასწავლებლის შორის, რომელნიც ატყობინებენ სამღვდელოებას იმათი შვილების გაჭირვებას, იცავენ წესიერებას სასწავლებელში კანონების და სინიდისის მიხედულობის დაგვარად, თვალ-ყურს ადევნებენ სწავლის ავ-კარგიანობას. და რადგანაც ამ გვარ წევრობას გაუწევდენ სასწავლებელს შ—ი და ბ—ი, ამიტომ მიუთითა თავმჯდომარემ ამათზე.

შემდეგ კრება შეუდგა თხოვნის გარჩევას, რომელიც შეიტანეს შენობის კომიტეტის წევრებმა არხიტექტორითურთ და ამ უკანასკნელთა გამოანგარიშებით ახალს შენობისთვის, დანიშნულის ფულის გარდა, კიდევ აკლდებათ 1,659 მან., სასწავლებლის საკუთარი ეკლესიისთვის 3180 მან. და რამოდენიმე ფული ძველი შენობის განახლებისთვის. ამათი გაკეთება კრებამ იკისრა. მესამედ, კრებამ გაარჩია სასწავლებლის მმართველობის მიერ წარმოდგენილი საგნები: მმართველობა სთხოვდა სამღვდელოებას ჯამაგირის დანიშვნას საქმის მწარმოებლისთვის, შეგირდებისთვის ექიმის მოწვევას, გალობის მასწავლებლისთვის ჯამაგირის მომატებას და მეორე მოსამსახურის მოპოვებას. ამ მოთხოვნილებაზე კრებამ გარდასწყვიტა: მიეცეს ორს მოსამსახურე პირს 240 [illegible] ვეულ იქმნეს გამ[illegible] და დაენიშნოს ჯამაგირი; გალობის მასწავლებელს მოემატოს წელიწადში 100 მანეთი და სთხოვონ ექსარხოსს, რომ ინებოს და გახადოს გალობის მასწავლებელი ვალდებულად ქართულ მგალობელთა გუნდის შედგენისათვის. საქმის-მწარმოებელს კი ჯამაგირზე კრებამ უარი უთხრა.

მეოთხედ, კრებამ გაარჩია თხოვნა მოსამზადებელი კლასის მასწავლებელთა ჯამაგირის მომატებაზე. უნდა ვთქვათ, რომ ამ მასწავლებლებს აქვსთ დიდი ჯაფა: კვირაში 26 გაკვეთილია გალობით, ჯამაგირი კი 500 მან. უწმიდესი სინოდის ახალის მოწერილობით, უნდა იყოს მოსამზადებელს კლასში სამი განყოფილება. თელავის სასულიერო სასწავლებელში კი არის ორი განყოფილება: უფროსი და უმცროსი და მაშასადამე მესამე განყოფილებისთვის მოსანდომი ჯაფა აწევსთ კისერზე ამ ორს მასწავლებელს. მაგრამ რადგან მღვდლებს ვალად დაედგათ ეხლა აშენება ახალის სახლისა, ძველის შენობის განახლება, აგრეთვე მოელისთ ეკლესიის აშენება, საკუთარი მღვდლის მოწვევა, პანსიონის გახსნა, ფერშლის მოწვევა და სხვა-და-სხვა, ამიტომ ვისურვოთ, რომ ჯერ აესრულებინოს სამღვდელოებას ის, რისთვისაც ხელი მოუკიდნია და მერე, მგონი, თვით სამღვდელოება არ დასტოვებს უნუგეშოდ თავის შვილების მასწავლებელთაც. მაგრამ რომ მივიღოთ მხე-

---

ლება მეტი ვაზები, რომ შეუნიშნველად არ გამოგვეპაროს ფილოქსერა თუ კი არსებობს იგი ვენახში. ამისთანა დათვალიერება თბილი ტაროსის დროს სჯობია, როცა ფილოქსერა მიწის ზედა-პირთან ამოდის; ამიტომაც საკმაოა ხოლმე ფესვების ზედა-პირის დათვალიერება, ისე რომ მათ ამ დათვალიერებით არაფერი ვნება არ მიეცეთ. სიცივეების დროს ძნელია ფილოქსერის აღმოჩენა, რადგანაც იგი მიწაში უფრო ღრმად ჩადის, რიცხვით მცირდება რუხს ფერს იღებს, და ძნელი გასარჩევი ხდება ვაზის რუხვისავე ფერის ქერქისაგან.

თუ საეჭვო ვენახებში არის ამერიკული ვაზები, უნდა დავათვალიეროთ ამ უკანასკნელთა ფოთლებიც. ამათს ქვემო ზედა-პირზე არიან მეჭეჭსავით ამობერილი ადგილები, რომლებშიაც მოთავსებულა მატლები. ამ მატლებს გარშემო მრავალი კვერცხები ახვევია.

საზოგადოდ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ფილოქსერის ყოფნა საეჭვო ვენახებში მხოლოდ მაშინ იქნება საბოლოვოდ დამტკიცებული, როცა ვაზების ფესვებზე ნახული ფილოქსერების მსგავსი ჭიები მიკროსკოპით იქნებიან განხილულნი. ამ განხილვას მაშინ ექნება ძალა, როცა მას მოახდენს ამ საქმის სრული მცოდნე ადამიანი.

### VIII

შეიძლება თუ არა ამ ავადმყოფობისაგან დავიცვათ კავკასიის ვენახები?

ის ქვეყნები, რომელნიც დიდი მანძილით ანუ ზღვით არიან დაშორებულნი იმ ადგილებს, სადაც ფილოქსერა დამკვიდრებულა, შეიძლება გადარჩნენ თავიანთ ვენახების ამგვარს აოხრებას, თუ დროზე მიიღებენ ღონის-ძიებას ფილოქსერის შემოსევისა და გავრცელების წინააღმდეგ. ჭკუის მასწავლებელი, მაგალითად, ამ შემთხვევაში ჩვენთვის არის შვეიცარია, რომელსაც საზღვრავს დასავლეთიდამ და სამხრეთიდამ საფრანგეთი და იტალია, ე. ი. ის სახელმწიფოები, სადაც ფილოქსერა მძვინვარებს. თუმცა მრავალ-ჯერ გაჩნდა აქ ფილოქსერა, მაგრამ მისი საზღვრების დროზედ მიგნებამ, მარჯვედ აფორიაქებამ და მოსპობამ, სიმხნემ და მიღებულმა ღონის-ძიებამ, ის შედეგი იქონია, რომ ამ სახელმწიფოს ვენახები დღესაც გადარჩენილნი არიან დალუპვას. ესევე ითქმის გერმანიაზედაც, სადაც აღმოაჩინეს ეს საშიშარი მტარვალი ვენახებისა. *)

### IX

რა უნდა ვქნათ?

რომ ჩვენი ქვეყანა დაცული იქმნას ამ საშინელის ფილოქსერისაგან, კავკასიის სამეურნეო საზოგადოება თავის ვალად სთვლის ურჩიოს შემდეგთა ღონის-ძიებათა მიღება ვენახების მეპატრონეთ, და საზოგადოდ იმ პირებს, რომელთაც გული—სტკივათ ამ ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის.

ა) მოსპეთ ვაზების და სხვა მცენარეთა გამოწერა საზღვარ-გარეთიდამ, ყირიმიდამ, სოხუმიდამ და ყუბანიდამ;

ბ) მკაცრი ყურადღება მიაქციეთ, რომ იდუმალ არავინ შემოიტანოს ეს მცენარეები;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ ზვრებს, რომლებშიაც ამ უკანასკნელ წელთა განმავლობაში დარგული არის ვაზები და სხვა მცენარეები ევროპიდამ, ყირიმიდამ, სოხუმიდამ ანუ ყუბანიდამ მიღებული;

ამისთანა ვენახების მეპატრონეთ კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მოვალეა სთხოვოს:

დ) აცნობონ მას: როდის, რა ადგილებიდამ და რომელი ხარისხის ვაზები აქვთ მიღებული, და აგრეთვე: ეტყობა თუ არა ეხლა რაიმე ცვლილება ამ მიღებულ ვაზებს, და

ე) ორთავე თვალი მიაპყარით თქვენ თქვენს ვენახებს და თუ ვინიცობაა, რაიმე საეჭვო ცვლილება ანუ ავადმყოფობის ნიშნები შეამჩნიოთ, მაშინათვე აცნობეთ ეს ადგილობრივს მაზრის უფროსს, კავკასიის საფილოქსერო კომისიას და კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რათა დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნან შესაფერნი ღონის-ძიებანი.

### X

რითი ემუქრება ფილოქსერა კავკასიას?

კავკასიაში ითვლება 80-ოდე ათასი დესეტინა ვენახი, რომელნიც, ერთიერთმანეთზე ანგარიშით, დესეტინაზე იძლევიან 100—200 ვედროს, ანუ სულ 16 მილიონს ვედრო ღვინოს, 24 მილიონ მანეთად ღირებულს (ვედრო—1 მან. 50 კაპ.). ამითი იკვებება ალებ-მიცემობა და ვაჭრობა არა თუ მხოლოდ კავკასიისა, არამედ რუსეთის მრავალი კუთხეებისაც. ეს ფული 10%-დგვარ რომ თანხად ვაქციოთ, გამოვა, რომ ჩვენი ვენახები ღირს 240 მილიონ მანეთად. მაშასადამე თუ ჩვენ დაუდევრად და ზანტად მოვიქცევით, ე. ი. თუ ვინიცობაა კავკასიის მევენახოების მიმდევარს ადგილებში შემოტანილ იქმნა და გავრცელდა ფილოქსერა, მაშინ არა მარტო ვენახების მეპატრონეთ ინტერესები იზარალებს, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისა, მით უფრო, რომ ჩვენში არის იმისთანა ადგილები, სადაც მევენახობა და მეღვინობა შეადგენს მეურნეობის უმთავრესს საქმეს.

*) საფრანგეთში, სადაც იმდენს ვენახებს მუშაობდენ, რამდენიც იყო მთელი დედა-მიწის ყველა სხვა სახელმწიფოებში, ე. ი. 2½ მილ. დესეტინას, ახალმა ავადმყოფობამ პირველად 1863 წ. შემოტანილმა, ააოხრა 1,000,000-მდის დესეტინა, ე. ი. თითქმის მთელი სახელმწიფო ვენახების ნახევარი.

დეელობაში ის მძიმე ულელი, რომელიც უკისრიათ მოსამზადებელ კლასის მასწავლებელთ, სასურველი იქნებოდა, თუ სამღვდელოება ჯერ-ჯერობით ვერ შეიძლებდა მათთვის ჯამაგირის მომატებას, ერთ-დროებითი ჯილდო მაინც დაენიშნა.

ბოლოს, კრებამ დაადგინა, რომ სასწავლებლის ყოველ-წლიური ეკონომიური ანგარიშები იბეჭდებოდეს გაზეთს „მწყემსში“.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივლისის 28

**პეტერბურგი.** დღეს მოვიდნენ ჯართა დიდს მანევრებზედ დასასწრებლად და აღლუმის სანახავად გერმანიისა,ავსტრიისა, საფრანგეთისა და იტალიის სამხედრო დეპუტაციები და ზოგიერთა მეორე ხარისხის სამფლობელოთა წარმომადგენელნი.

დღეს დაბრუნდა პეტერბურგში სახემწიფო ქონებათა მინისტრი.

**პარიჟი.** ადმირალმა ლესპესმა დაიჭირა ქალაქი ვოლუნგი ფორმოზის კუნძულზე გირაოდ და საფრანგეთი თხოულობს ჩინეთისაგან 80 მილიონს ფრანკს ჯარიმას.

**მარსელი.** ხოლერისაგან მოკვდა აქ 8, ტულონში 4, არლში 6 და დიჟონში, გეროს დეპარტამენტში—18 კაცი.

ივლისის 29-ს.

**პეტერბურგი.** ნება-რთვა გამოვიდა, რომ რუსეთის საქონელი ტრანზიტით გადაიტანონ ნემევის ტამოჟნით დანციგში, ხოლო იქიდამ ზღვით პეტერბურგსა და სხვა სარუსეთო ბალტიის ზღვის-პირა ქალაქებში, ისე რომ 1868 წლის სატრანზიტო კანონები და წესები დაცულ იქმნას.

**რომი.** აგვისტოს 8 (ახალ. სტილ.) შუა-ღამისას პიემონტსა და ლიგურიაში ხოლერით 11 კაცი გახდა ავად და მათ შორის 8 მოკვდა.

**ნიუ-იორკი.** აქ დაატუსაღეს სამი ნემეცების სოციალისტი აქაურის სოციალისტურის კომიტეტის პროკლამაციის გავრცელებისათვის. ამ პროკლამაციაში ქებითა და დიდებით იხსენიებენ ვენაში სიკვდილით დასჯილს ანარხისტს შტელმახერსა და სოციალურ-რევოლიუციის მოხდენისათვის აქეზებენ ხალხს.

ივლისის 29

**ბრიუსელი.** დღეს მანიფესტაცია იყო აქ გამართული სახალხო სკოლებზე ახალის კანონის გამოცხადების წინააღმდეგ; ამ კანონით უკმაყოფილონი დალაგდენ წყობისად და გაემართნენ პროცესიით; წარმოთქმულ იქმნა სიტყვანი, რომლებითაც საყვედურს უცხადებდენ ახალს სამინისტროს, თხოულობდენ სასკოლო კანონის გაუქმებას და პალატების დათხოვნას; როდესაც უკმაყოფილონი მივიდნენ სამინისტროს შენობასთან, თხოულობდენ სამინისტროს დათხოვნას და თან ყვიროდენ, მეფეს გაუმარჯოსო; წესიერება არსად არ დარღვეულა.

**პარიჟი.** 24 საათში მოკვდა ხოლერით მარსელში 17, ტულონში 5 და ქიქანში—10 კაცი. იყო რამდენიმე შემთხვევა ხოლერით ავადგახდომისა მონპელის ახლოც.

ივლისის 30-ს.

**პეტერბურგი.** გუშინ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ მიიღო მიხაილოვკაში წარმომადგენელნი ნავთის წარმოებასა: ბაქოს ქალაქის თავი დესპოტ-ზინოვიჩი და ბაშკიროვი; ესენი მოვიდნენ პეტერბურგში, რათა იშეამდგომლონ ბაქოს გზით ნავთის გადასაზიდ საშუალებათა გასაძლიერებლად, რაიცა შეადგენს განსაკუთრებულის კომისიის განსახილავს საგანს, დიდმა მთავარმა გამოაცხადა იმედი, რომ მათი თხოვნა აღსრულებული იქნება.

**კოპენჰაგენი.** გუშინ დანიისა და საბერძნეთის მეფე-დედოფალთა თანადასწრებით გაიხსნა ხალხთა შორეებრივი ექიმთა კონგრესი, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 1400 ექიმი. მათ შორის ვირხოვი და პასტერი.

**რომი.** ხოლერისაგან დაზარალებულ ადგილებში კიდევ ექვსი გახდა ავად. მათ შორის სამი მოკვდა. წინად ავად-გამხდართა შორის მოკვდა ორი.

## განცხადებანი


**მჰალიერი** ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-და სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ძმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდა-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული.

(30—25)

შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან

**ნაფტალინი** (ქაფური) **ჩრჩილის გამწყობი** წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან **ტფილისში**, საფთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში.

(70—31)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—50)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

PAPIER RIGOLLOT
БУМАГА РИГОЛЛО
ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ
ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ
ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВЕДОМСТВАХЪ
Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте за НАСТОЯЩУЮ БУМАГУ РИГОЛЛО лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись **красною** краской.

F. Rigollot

*Продается во всѣхъ аптекахъ.*

ГЛАВНОЕ ДЕПО
24, Avenue Victoria
PARIS
Въ Парижѣ.

(32—18)


### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსული ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჯაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| **ჭვავის-მჟავი პური:** | | | |
| პირველი ხარის. ღავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ღავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

*Доз. ценз. Тифлисъ, 28 Іюля 1884 г.* სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი